შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კვლევა (ავსებს პროფესიული სტუდენტი)

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში 2023 სასწავლო წლის 24 ნოემბერს ჩატარდა პროფესიული განათლების სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული სტუდენტების აზრის შესწავლას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დაეხმარება მათ კოლეჯში მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარ-ჩვევები კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში. კვლევის ამოცანას შეადგენდა იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც დაბრკოლებებს ქმნიან სტუდენტების მიერ ბაზრის მოთხოვნების შეესაბამისი თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამ თვალსაზრისით სტუდენტთა აზრის შესწავლა კოლეჯის ადმინისტრაციას ხელს შეუწყობს პრობლემების დაძლევისკენ მიმართული ზომების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

კითხვარი შედგება 6 დახურული და 1 ღია კითხვისგან, რომელიც გამოკითხულთ შესაძლებლობას აძლევს თავისი აზრი დააფიქსირონ იმასთან დაკავშირებით, თუ რის შეცვლას მიიჩნევენ საჭიროდ პროგრამაში კვლევის თემატიკის კონტექსტიდან გამომდინარე. კვლევაში მონაწილე სტუდენტთა აზრი კოლეჯის ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვანია იმ ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით, რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს ხელს შეუწყობს დასაქმებისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის შეძენაში.

გამოკითხვა ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და მასში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პრაოგრამის „აღმზრდელი“ 11 სტუდენტმა.

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა მცირე ოდენობამ და მათ მიერ კითხვარის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილ ღია კითხვაზე პასუხის დაფიქსირების შესაძლებლობის უგულებელყოფამ განსაზღვრა წინამდბარე კვლევის შეზღუდვები.

კვლევის შედეგები სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით გამოყენებული იქნება სტუდენტის მიერ დასაქმებისთვის აუცილებელი კვალიფიკაციის შესაბამისი თეორიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების თვალსაზრისით სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

№	შეკითხვა	შეფასება		
		დიახ	ნაწილობრივ	არ შეესაბამება
1	თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას?	11 (100 %)		
2	თქვენი აზრით, უზრუნველყოფს თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს?	11 (100 %)		
3	თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემდგომ საფეხურზესწავლის გასაგრძელებლად?	11 (100 %)		

4	მიგაჩნიათ თუ არა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო მოდულებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად?	11 (100 %)		
5	მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე?	8 (73 %)	3 (27 %)	
6	რამდენად შეესაბამება ინფრასტრუქტურა, მატერიალური ტექნიკური, საინფორმაციო და ელექტრონული რესურსები პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გარემოს?	11 (100 %)		
7	რის შეცვლას ისურვებდით პროგრამაში, დაამატეთ თქვენი მოსაზრება.			

როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, ყველა გამოკითხული სტუდენტი მიიჩნევს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოს თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას და მისი სწავლის შედეგები პასუხობენ შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს. ასევე გამოკითხულთა 100 % - ის აზრით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები საკმარისია შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

გამოკითხული სტუდენტები ერთსულოვნები აღმოჩნდნენ იმაშიც, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო მოდულებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად.

გამოკითხულთა 100% - ს აზრით კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მატერიალური ტექნიკური, საინფორმაციო და ელექტრონული რესურსები შეესაბამება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო გარემოს.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაიყო გამოკითხულთა აზრი. კერძოდ, კითხვაზე - „მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე“ პასუხი „დიახ“ შემოხაზა გამოკითხულთა 73 %, პასუხი „ნაწილობრივ“ კი - 27 %.

ამდენად, კვლევის შედეგების ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მთლიანობაში პროფესიული განათლების სტუდენტები მიიჩნევენ, რომ კოლეჯში მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარ-ჩვევები ხელს უწყობს მათ დასაქმებაში კვალიფიკაციის შესაბამისად.